ხელშეკრულება № 78/06

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

ქ. თბილისი 6 თებერვალი 2017 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, ი/მ თინათინ ღუდუმიძე წარმოდგენილი თინათინ ღუდუმიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დაფინანსების ფარგლებში თსუ ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის ნაბეჭდი წიგნების შესყიდვა. (CPV 24110000 ნაბეჭდი წიგნები)

2. შესყიდვის ობიექტი და ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება, აღწერილობა და ღირებულება:

	სახელწოდება	რაოდენობა	ფასი	ღირებულება
1	ზ. ხასაია - გერმანელი ფილოსოფოსები ისტორიის შესახებ	3	10	30,00
2	ბლეზ პასკალი - აზრები	3	18,80	56,40
3	მ. ბალიაშვილი - პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები	3	17	51,00
4	ვ. მაისაია - საქ. საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები	3	13	39,00
5	ნორბერტ ელიასი - ცივილიზაციის პროცესის შესახებ - ტ. 1	3	13	39,00
6	ნორბერტ ელიასი - ცივილიზაციის პროცესის შესახებ - ტ. 2	3	13	39,00
7	ა. ა. ივანოვი - სახელმწიფოსა და სამართლის თეორია	3	25	75,00
8	საქმიანი ურთიერთობის ფსიქოლოგია	3	30	90,00
9	ვიდალი - სამკურნალო პრეპარატები	3	39	117,00
10	ა.ა. ივანოვი, ნ. ვ. მიხაილოვა - რომის სამართალი	3	25	75,00
11	კ.კ. გასანოვი, ა. კუზნეცოვი - საერთაშორისო სამართალი	3	43	129,00
12	ნ. ერიაშვილი, დ. ბელსკი - სოციოლოგია იურისტებისათვის	3	37	111,00
13	კობა ნონიაშვილი - კვლევის მეთოდები ემპირიულ და გამოყენებით სოციოლოგიაში	2	10	20,00
14	მარინა ბალიაშვილი - სოციალური ფსიქოლოგია	3	17	51,00
15	ავრელიუსი - ფიქრები	3	11,3	33,90
				956,30

2.2. შესყიდვის ობიექტის სრული ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 956,30 ლარს. (ცხრაასორმოცდათექვსმეტი ლარი და 30 თეთრი)

2.3 ხელშკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს თსუ–ს ინსპექტირების ჯგუფი და/ან საამისოდ უფლებამოსილი პირი.

3.2 ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული ან მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

3.3 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის ხარისხის და მოცულობის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, დეფექტის ან ნაკლის არ აღმოფხვრის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

4.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

4.1 ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში, ეტაპობრივად.

4.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ–ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების ხელშეკრულების 3,1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი დადებითი დასკვნის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების ხელშეკრულების 3,1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები.

6.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა ეტაპობრივად.

7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

7.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის წაყენებულ მოთხოვნებს.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეebს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეხს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.4. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.3 ხელშეკრულების 9.2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
9.4 წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს ხელმომწერ მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების ამოწურვამდე 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მიმოწერა სრულდება ქართულ ენაზე.
12.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ წერილობითი ფორმით და ორმხრივი ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.
12.3 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემოლარად და ინახება მხარეებთან, ერთი ,,მიმწოდებელთან" და ორი ,,შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი:
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ.# 1
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
საკუთარი შემოსავლები
3204050101
საიდენტიფიკაციო კოდი
204864548

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

/ნ. ოსიანიკოვა/

მიმწოდებელი
ი/მ თინათინ ღუდუმიძე

მისამართი:
თბილისი, რუსთაველის 40
საბანკო რეკვიზიტები:
სს ,,საქართველოს ბანკი"
ა/ა GE19BG0000000188690300
ბანკის კოდი **BAGAGE22**
საიდენტიფიკაციო კოდი
01024026137

ი/მ თინათინ ღუდუმიძე
დირექტორი

/თ. ღუდუმიძე/

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ხელშეკრულება №78 /06

6 თებერვალი 2017 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში ი/მ „თინათინ ღუდუმიძე"-სთან.

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნ. ოვსიანიკოვა

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი ი. ხაღარეიშვილი

თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ა. კუკულავა

თსუ შესყიდვების განყოფილების უფროსი ს. სანაძე

თსუ შესყიდვების განყოფილების
მთავარი სპეციალისტი ლ. ბაყაშვილი